დანართი №4

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს არჩევის წესი და კვოტები

1. ფაკულტეტის საბჭოს წევრი შეიძლება გახდეს აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი: სრული, ასოცირებული ან ასისტენტ–პროფესორი.

2. ფაკულტეტის საბჭო შედგება 40 წევრისაგან - ფაკულტეტის დეკანი, 31 წევრი აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებიდან, 8 წევრი სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებიდან.

3. აკადემიურ პერსონალს შორის ფაკულტეტის საბჭოს წევრების არჩევა ხდება ფაკულტეტზე არსებული სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებიდან (კათედრებიდან), იმ პრინციპის დაცვით რომ ყოველ სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს (კათედრას) ჰყავს ფაკულტეტის საბჭოში ორი წარმომადგენელი მაინც. იმ შემთხვევაში როდესაც, სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული წარმოდგენილია ერთი აკადემიური პერსონალით, მაშინ ეს აკადემიური პერსონალი ავტომატურად ხდება ფაკულტეტის საბჭოს წევრი და წარმომადგენლობითი ქვოტა იცვლება ერთით. იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული სახით არჩეული ფაკულტეტის საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობა ნაკლებია 31-ზე, 31-მდე დარჩენილი ადგილები ნაწილდება სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებს შორის დაწყებული იმ სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულიდან, რომელსაც ჰყავს აკადემიური პერსონალის უდიდესი რაოდენობა.

4. ფაკულტეტის საბჭოს წევრები აირჩევა სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებზე (კათედრებზე). ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატების დასახელება ხდება იმავე კათედრის სხდომაზე. კათედრის თითოეულ წევრს შეუძლია საკუთარი ან/და სხვისი კანდიდატურის დასახელება.

5. კანდიდატს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად. უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი (კანდიდატები) ხდება ფაკულტეტის საბჭოს წევრი. თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა.

6. ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩეული აკადემიური პერსონალის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის შესაბამისად. აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის გასვლის ან აკადემიური თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების შემთხვევაში (დეკანის შემთხვევაში დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში) პირს უწყდება ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსი. ფაკულტეტის საბჭოს ვაკანტური ადგილის დასაკავებლად იმართება განმეორებითი არჩევნები ამ ბრძანებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით.
7. ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრობის უფლებას.